VisitGeorgia
Inbound Tour Operator

ტურისტული სააგენტო „ვიზიტ ჯორჯია“ არის შემომყვანი ლიდერი ტურ-ოპერატორი საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ბაზარზე ოპერირებს 1997 წლიდან.
კომპანია თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ტურისტულ და MICE კომპანიებთან და ყოველწლიურად მონაწილეობს მრავალ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე.
კომპანიის მომსახურების მაღალი ხარისხი, თანამედროვე მიდგომები, ევროპული სტანდარტებით მუშაობა და მრავალ ენაზე მოსაუბრე, მაღალკვალიფიციური თანამშრომლები განაპირობებენ მის ყოველწლიურ წარმატებასა და ზრდას.
კომპანიის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ვებ გვერდს: www.visitgeorgia.ge

ტურისტული კომპანია **„ვიზიტ ჯორჯია“** აცხადებს **ინგლისურენოვანი ტურ-ოპერატორის ვაკანსიას:**
ადგილმდებარეობა - თბილისი, ინგოროყვას ქუჩა 4ა
განაკვეთი - სრული, არადისტანციური
ორშაბათი - პარასკევი: 09:00-18:00
მზარდი ანაზღაურება - საწყისი ხელფასი 1500 ლარი (ხელზე ასაღები) პირველი სამი თვე, მეოთხე თვიდან 2000 (ხელზე ასაღები); გამოსაცდელი ვადის შემდეგ, ხელფასის ზრდა დამოკიდებულია კანდიდატის განვითარების დინამიკაზე

სამუშაოს აღწერა:
- საერთაშორისო კლიენტებისთვის ტურისტული პაკეტების შექმნა და მართვა
- უცხოურ პარტნიორებთან თანამშრომლობა
- მაღალი ხარისხის მომსახურებისა და მომხმარებელთა კმაყოფილების უზრუნველყოფა
- ბაზრის ტენდენციების შესწავლა და ანალიზი
- ბიზნესის ზრდასა და განვითარებაში წვლილის შეტანა

ჩვენთვის საინტერესო კანდიდატი სასურველია ჰქონდეს:
- უმაღლესი განათლება
- ინგლისური ენის ცოდნა (C1, ვერბალური და წერილობითი)
- საოფისე პროგრამების ცოდნა, საქმიანი კორესპონდენციისა და სწრაფად ბეჭდვის უნარი
- **აუცილებელია, გიდად ან მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება (მინიმუმ ერთი წელი)**
- საქართველოს გეოგრაფიის, ზოგადი ისტორიისა და ტრადიციების ცოდნა
- თვითმოტივაცია და განვითარების სურვილი

უნდა შეეძლოს:
- გამართული კომუნიკაცია
- დეტალებზე ორიენტაცია
- დროის ეფექტურად მართვა
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა

გთავაზობთ:
- კომფორტულ სამუშაო გარემოს
- პროფესიულ და კარიერულ განვითარებას
- კორპორატიულ სამედიცინო დაზღვევას
- მზარდ ანაზღაურებას

გთხოვთ, ვაკანსიით დაინტერესებულმა კანდიდატებმა, რეზიუმე გამოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე: **vacancy@visitgeorgia.ge**
სათაურის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **ინგლისურენოვანი ტურ-ოპერატორი**

გისურვებთ წარმატებას!

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ გამოგზავნილი რეზიუმე, საქართველოს კანონის „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად, ექვემდებარება შენახვა-დამუშავებას 1 წლის განმავლობაში.